

II. გეოგრაფია

I – შესაძლო ვარიანტებიდან აირჩიეთ ერთი სწორი პასუხი

- ინსტრუქცია დავალებისათვის – „შესაძლო ვარიანტებიდან აირჩიეთ ერთი სწორი პასუხი“ – თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი ან ხუთი პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელში უნდა გადახაზოთ არჩეული პასუხის შესაბამისი უჯრა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

20. კავკასიის ტერიტორიაზე არსებული ფიზიკურ-გეოგრაფიული ოლქებიდან (რეგიონებიდან), რომელი მდებარეობს მხოლოდ რუსეთის ტერიტორიაზე?

- ა. ჯავახეთ-სომხეთის;
- ბ. ჩრდილო კავკასიის (იმერკავკასიის);
- გ. კავკასიონის;
- დ. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის.

21. საქართველოს რომელი მხარის ბუნებრივი საზღვარია კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი?

- ა. სამეგრელო-ზემო სვანეთის;
- ბ. იმერეთის;
- გ. ქვემო ქართლის;
- დ. სამცხე-ჯავახეთის.

22. რომელი ნაკრძალი არ მდებარეობს აფხაზეთში?


- ა. რიწის;
- ბ. ბიჭვინთა-მიუსერის;
- გ. კინტრიშის;
- დ. ფსხუ-გუმისთის.

23. რომელი სასარგებლო წიაღისეულის უმსხვილესი მომპოვებელი იყო საქართველო XX საუკუნის დასაწყისში?

- ა. ქვანახშირის;
- ბ. მანგანუმის;
- გ. მარმარილოს;
- დ. კირქვის;


24. რომელი მთებია აღნიშნული ევროპის კონტურულ რუკაზე ლათინური ასოთი – C?

- ა. ბალკანები;
- ბ. სკანდინავიის;
- გ. პირენეები;
- დ. ალპები;
- ე. კარპატები.




25. რომელი ლათინური ასოთია აღნიშნული საქართველოს კონტურულ რუკაზე შავშეთის ქედი?

- ა. A;
- ბ. B;
- გ. C;
- დ. D;
- ე. E.



26. რომელი ვაკე-დაბლობია აღნიშნული საქართველოს კონტურულ რუკაზე ლათინური ასოთი – E ?

- ა. შირაქის;
- ბ. ელდარის;
- გ. შიდა ქართლის;
- დ. ქვემო ქართლის;
- ე. ალაზნის.



27. რომელი სრუტე აკავშირებს შავ ზღვას მარმარილოს ზღვასთან?

- ა. ბოსფორის;
- ბ. ქერჩის;
- გ. დარდანელის;
- დ. თემრუკის.

28. რომელი ნახევარკუნძული მდებარეობს შავ ზღვაში?

- ა. ყირიმის;
- ბ. კოლის;
- გ. სინაის;
- დ. იამალის.

29. რომელი ქვეყანა არ არის ევროკავშირის წევრი?

- ა. ბელგია;
- ბ. შვეიცარია;
- გ. ნიდერლანდები;
- დ. შვედეთი.

30. რომელი ქვეყანა არ შედის ბენილუქსის ქვეყნების რიცხვში?

- ა. ლუქსემბურგი;
- ბ. ნიდერლანდები;
- გ. დანია;
- დ. ბელგია.

31. რომელი საერთაშორისო ორგანიზაცია ახდენს უშუალოდ გაგლენას მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასების რეგულირებაზე?

- ა. ოპეკი;
- ბ. იუნესკო;
- გ. გაერო;
- დ. მსოფლიო ბანკი;
- ე. საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

32. რის მაჩვენებელს ითვალისწინებენ გაერო-ს მიერ შემუშავებული საზოგადოებრივი განვითარების ინდექსის (ჰუმანური განვითარების ინდექსი) გამოთვლისას?

- ა. განათლების დონის;
- ბ. დასაქმების დონის;
- გ. ხელფასის საშუალო მოცულობის;
- დ. პენსიის საშუალო მოცულობის.

II. შესაბამისობების პოვნა

- ინსტრუქცია დავალებებისათვის – „შესაბამისობების პოვნა“ – დაადგინეთ შესაბამისობა ორ სვეტში მოცემულ ინფორმაციას შორის. პასუხები უნდა ჩაწეროთ პასუხების ფურცელში განთავსებულ ცხრილში (x ნიშანი უნდა დასვათ სწორი პასუხის ადგილას. მაგ.: „A“ და „1“-ის გადაკვეთაზე). თითოეული დავალება მაქსიმუმ 3 ქულით ფასდება.


(3) 33. დაადგინეთ შესაბამისობა გაეროს სპეციალიზებულ ორგანიზაციებსა და ქალაქებს შორის, სადაც განთავსებულია მათი შტაბ-ბინები.

- A. ბავშვთა ფონდი (იუნისეფი);
- B. საერთაშორისო საგაღუტო ფონდი;
- C. იუნესკო;
- D. საერთაშორისო სასამართლო.


1. ვაშინგტონი;
2. ვენა;
3. ნიუ-იორკი;
4. სტრასბურგი;
5. პარიზი;
6. ჰააგა.

(3) 34. დაადგინეთ შესაბამისობა სასოფლო-სამეურნეო ნათესების ძირითადი გაერცვლების კერებსა და სასოფლო-სამეურნეო კულტურებს შორის.

A



B



C



D



1. ყავა;
2. თხილი;
3. ხორბალი;
4. ბამბა;
5. შაქრის ლერწამი;
6. ბრინჯი.

(3) 35. დაადგინეთ შესაბამისობა ვალუტასა და ქვეყნებს შორის.

- A. ევრო;
- B. იენა;
- C. ლირა;
- D. ფრანკი.

- 1. გაერთიანებული სამეფო;
- 2. თურქეთი;
- 3. შვეიცარია;
- 4. გერმანია;
- 5. იაპონია;
- 6. ჩინეთი.

(3) 36. დაადგინეთ შესაბამისობა ქვეყნებსა და მათში გავრცელებულ მმართველობის ფორმებს შორის.

- A. იტალია;
- B. საფრანგეთი;
- C. საქართველო;
- D. საუდის არაბეთი.

- 1. აბსოლუტური მონარქია;
- 2. თეოკრატიული მონარქია;
- 3. საპარლამენტო მმართველობის რესპუბლიკა;
- 4. კონსტიტუციური მონარქია;
- 5. დუალისტური მმართველობის რესპუბლიკა;
- 6. საპრეზიდენტო მმართველობის რესპუბლიკა.

(3) 37. დაადგინეთ შესაბამისობა ბუნებრივ პირობებსა და რეგიონებს შორის.

- A. მხარის მთავარ ჰიდროგრაფიულ არტერიას მდ. არაგვი წარმოადგენს;
- B. მხარის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მცირე კავკასიონის ფარგლებშია განთავსებული;
- C. მხარის ტერიტორიის დიდ ნაწილს კოლხეთის დაბლობის დაჭაობებული ტერიტორიები შეადგენენ;
- D. მხარის ერთ-ერთი მთავარი ოროგრაფიული ერთეულია ივრის ზეგანი.

- 1. გურია;
- 2. შიდა ქართლი;
- 3. კახეთი;
- 4. აფხაზეთი;
- 5. მცხეთა-მთიანეთი;
- 6. სამცხე-ჯავახეთი.

III. ტოპოგრაფიული რუკის ანალიზი

- ინსტრუქცია დავალებისათვის – “ტოპოგრაფიული რუკის ანალიზი” – ყურადღებით შეისწავლეთ მოცემული ტოპოგრაფიული რუკა. რუკის ლეგენდის გამოყენებით, უპასუხეთ დასმულ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა – 7.


38. ყურადღებით შეისწავლეთ ტოპოგრაფიული რუკა და უპასუხეთ კითხვებს.


(1) **38.1.** სად მდებარეობს (მიუთითეთ პორიზონტის მხარე) რუკაზე დატანილი ყველაზე მაღალმთიანი მასივი?


(2) **38.2.** რუკაზე აღნიშნული ჰიდროგრაფიული ქსელის ხასიათში დაშვებულია შეცდომა. იპოვეთ ეს ჰიდროგრაფიული ერთეული და გამოასწორეთ შეცდომა. დაასაბუთეთ თქვენი შესწორება (განმარტეთ, რა შეცდომაა დაშვებული).

(3) **38.3.** რუკაზე მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე, იმსჯელეთ მოტყიარის ტბის თავისებურების და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

(1) **38.4.** რელიეფის რომელი ჭრილი შეესაბამება კოპალას მთიდან ს. მუხიანამდე გავლებულ ხაზს (რუკაზე ხაზი წითლადაა გავლებული)?







პირთბითი ნიშნები
 მდ. ჰეგატა
 1 2 3 4
 მდინარეები: 1) 1-2 მეტრამდე სიგანის; 2) 3-4 მეტრამდე სიგანის; 3) 4-5 მეტრამდე სიგანის; 4) 5 მეტრზე მეტი სიგანის

წყაროები: 1 - სასმელი წყარო; 2 - თერმული წყარო

1 - ტბა; 2 - სანაპიროს აბსოლუტური სიმაღლის მარკებელი ზღვის დონიდან
 3 - მლაშე ტბა

ადგილადგასაცალი ჭაობები დაბლაღალახეული მცენარეულობით

ა) ძირითადი პორიზონტალები
 ბ) დამხმარე პორიზონტალები
 გ) დახრილობის მარკებლები (ბრევიდშტრიხები)
 დ) პორიზონტალების აბსოლუტური სიმაღლის მარკებლები

659,4 • აბსოლუტური სიმაღლის მარკებლები
 ლანდშაფტების საზღვრის მარკებლები

დაბის ტიპის დასახლების კვარტალები

სასფლთ ტიპის დასახლების კვარტალები

წყლის წისკილი

ქარის წისკილი

ასფალტირებული საავტომობილო გზა

გაუმჯობესებული საავტომობილო გზის გზა

საავტომობილო გზის გზა

საურემე გზები და ბილიკები

საავტომობილო ბეტონის ხიდი

ხის საფეხმაკლთ ხიდი

ქვანახშირი

ტორფი

თბოვალკვარცხანტის სადგური

ელექტროსადენი ხაზები

მკნხერი ტყე

ფართოფოთლოვანი ტყე

შერეული ტყე

ბუჩქნარი

მინდვრები

მაღალმთიანი მდელოები

მლაშობი

ბალ-ვეჩახები

ყანები და სახნავი მიწები

განეხილი ტყე

სალოცავი ნიში

ქვეყნის საზღვარი

მასშტაბი 1 : 200 000


IV. ინფორმაციის ტრანსფორმაცია

- ინსტრუქცია დავალებისათვის – „ინფორმაციის ტრანსფორმაცია“ - ყურადღებით შეისწავლეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილი და რუკა და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილზე. პასუხების ფურცელში მოცემულია მატრიცა, რომელზეც უნდა შეასრულოთ გრაფიკული დავალება. დავალების მაქსიმალური ქულაა – 6.

39. ყურადღებით გაეცანით ცხრილსა და რუკას და უპასუხეთ დამულ კითხვებს.

№	ქვეყანა	ნატო-ში შესვლის წელი
1	აშშ	1949
2	კანადა	1949
3	ისლანდია	1949
4	გაერთიანებული სამეფო	1949
5	ნორვეგია	1949
6	საფრანგეთი	1949
7	პორტუგალია	1949
8	იტალია	1949
9	ბელგია	1949
10	ნიდერლანდები	1949
11	ლუქსემბურგი	1949
12	დანია	1949
13	თურქეთი	1952
14	საბერძნეთი	1952
15	გერმანია	1955
16	ესპანეთი	1981
17	პოლონეთი	1999
18	ჩეხეთი	1999
19	უნგრეთი	1999
20	სლოვაკია	2004
21	სლოვენია	2004
22	ბულგარეთი	2004
23	რუმინეთი	2004
24	ესტონეთი	2004
25	ლიტვა	2004
26	ლატვია	2004

ევროპის ქვეყნების ნატო-ში ინტეგრაციის რუკა



კითხვები:

(3) **39.1.** მოცემული ცხრილის მეშვეობით, ააგეთ სვეტოვანი დიაგრამა, რომელიც ასახავს ნატოს გაფართოების დინამიკას.

(2) **39.2.** რომელ წელს განხორციელდა ნატო-ს ყველაზე დიდი გაფართოება? დაასახელეთ ერთი მიზეზი, რამაც განაპირობა ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოების ტენდენცია?


(1) **39.3.** რით ახსნით, რომ გერმანია რუკაზე ორ ფერშია მოცემული?

V. გეოგრაფიული პრობლემის ანალიზი

- ინსტრუქცია დავალებისათვის – „გეოგრაფიული პრობლემის ანალიზი“ - ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი, გაანალიზეთ და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილებზე. დავალების მაქსიმალური ქულაა – 6.

40. გაეცანით და გაანალიზეთ მოცემული ტექსტი და დიაგრამები. ყურადღებით წაიკითხეთ შეკითხვები და, მოცემული ინფორმაციის საფუძველზე, უპასუხეთ მათ.

კლიმატური დიაგრამები



ეკვატორული ჰავა – მოიცავს დაბალი ატმოსფერული წნევის ზონას, რომელიც ჩრდილოეთის და სამხრეთის განედების 5-10°-მდე ვრცელდება. მისთვის დამახასიათებელია ჰაერის მაღალი ტემპერატურა მთელი წლის განმავლობაში (24-28°C), ჰაერის მუდმივად მაღალი ტენიანობა, უხვი ნალექები (1 000 – 3 000 მმ წელიწადში, ზოგ ადგილებში 6 000 – 10 000 მმ-იც) და შედარებით წყნარი ამინდი. იცის თავსება წვიმები. გავრცელებულია ნოტიო ეკვატორულ ტყეებში.

ზომიერი ბანალების ჰავა – გავრცელებულია სუბტროპიკებიდან სუბარქტიკამდე. დამახასიათებელია მხოლოდ ერთი ვეგეტაციური პერიოდი და მოსვენება; კარგად არის გამოხატული გარდამავალი სეზონები (გაზაფხული, შემოდგომა). კონტინენტების ზღვისპირა ნაწილებში ჰავა შედარებით რბილი და ნოტიოა, რაც უფრო კონტინენტის სიღრმისკენ მივიწევთ, ზაფხული თბილია (ზოგჯერ ცხელი), ზამთარი – ძალიან ცივი (მაგ., იაკუტიაში ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა +35°C-ზე მაღალია, მინიმალური კი -70°C-ზე დაბალი). ატმოსფერული ნალექები წლის განმავლობაში 500-1000 მმ-მდე მერყეობს, უდაბნოებში 50 მმ-მდე ეცემა, მერიდიანული ქედების დასავლეთ კალთებზე კი 5000 მმ-ს აღემატება (კორდილიერები, ანდები).

ხმელთაშუაზღვიური ჰავა – გარდა ხმელთაშუაზღვის სანაპიროებისა, გავრცელებულია ყირიმის სამხრეთ ნაპირებზე, დასავლეთ კალიფორნიაში, სამხრეთ აფრიკაში, სამხრეთ-დასავლეთ ავსტრალიაში და სხვ. დამახასიათებელია ცხელი და მშრალი ზაფხული და შედარებით თბილი და ნოტიო ზამთარი. ზაფხულის საშუალო ტემპერატურაა 20-25°C, ზამთრისა კი 5-10°C. ნალექები დაახლოებით 400 – 600 მმ წელიწადში.

მუსონური ჰავა – დაკავშირებულია მუსონების პერიოდულ ცვლასთან. გავრცელებულია ინდონეზიაში, ინდოჩინეთში, სამხრეთ ჩინეთში, ჩრდ. ავსტრალიაში, აღმ. აზიაში, შორეულ აღმოსავლეთში. ზამთარი შედარებით ცივი და მშრალი იცის, ზაფხული – თბილი, ნოტიო და უხვნალექიანი. მაგ., კალკუტაში ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 1 700 მმ, ჩერაპუნჯაში (სამხ.-აღმ. ინდოეთი) კი 12 000 მმ. ნალექების დაახლოებით 70% მოდის ივნის-სექტემბერში.

კითხვები:

(2) **40.1.** რომელ კლიმატურ ტიპს შეესაბამება თითოეული კლიმატური დიაგრამა?



(2) **40.2.** მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე, დაასახელეთ მუსონური და სმელთაშუაზღვიური ჰავის ორი განმასხვავებელი ნიშანი;

(1) **40.3.** ტექსტიდან გამომდინარე, დაასახელეთ თითო-თითო ევროპული, აზიური და აფრიკული ქვეყანა, რომელთა ტერიტორიების გარკვეულ ნაწილზე ვრცელდება სმელთაშუაზღვიური ჰავის ტიპი;

(1) **40.4.** მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე, რომელი ჰავის პირობებში შეინიშნება ტემპერატურის ყველაზე მაღალი წლიური ამპლიტუდა?

დავალება ბის №	ბეობტაშობ	Max ქუბლ																																			
20	ბ	0-1																																			
21	ბ	0-1																																			
22	ბ	0-1																																			
23	ბ	0-1																																			
24	ბ	0-1																																			
25	ღ	0-1																																			
26	ბ	0-1																																			
27	ბ	0-1																																			
28	ბ	0-1																																			
29	ბ	0-1																																			
30	ბ	0-1																																			
31	ბ	0-1																																			
32	ბ	0-1																																			
33	<table border="1"> <thead> <tr> <th></th> <th>1</th> <th>2</th> <th>3</th> <th>4</th> <th>5</th> <th>6</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>A</td> <td></td> <td></td> <td>X</td> <td></td> <td></td> <td></td> </tr> <tr> <td>B</td> <td>X</td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> </tr> <tr> <td>C</td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> <td>X</td> <td></td> </tr> <tr> <td>D</td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> <td>X</td> </tr> </tbody> </table>		1	2	3	4	5	6	A			X				B	X						C					X		D						X	0-3
		1	2	3	4	5	6																														
	A			X																																	
	B	X																																			
	C					X																															
D						X																															
34	<table border="1"> <thead> <tr> <th></th> <th>1</th> <th>2</th> <th>3</th> <th>4</th> <th>5</th> <th>6</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>A</td> <td>X</td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> </tr> <tr> <td>B</td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> <td>X</td> </tr> <tr> <td>C</td> <td></td> <td></td> <td>X</td> <td></td> <td></td> <td></td> </tr> <tr> <td>D</td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> <td>X</td> <td></td> </tr> </tbody> </table>		1	2	3	4	5	6	A	X						B						X	C			X				D					X		0-3
		1	2	3	4	5	6																														
	A	X																																			
	B						X																														
	C			X																																	
D					X																																
35	<table border="1"> <thead> <tr> <th></th> <th>1</th> <th>2</th> <th>3</th> <th>4</th> <th>5</th> <th>6</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>A</td> <td></td> <td></td> <td></td> <td>X</td> <td></td> <td></td> </tr> <tr> <td>B</td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> <td>X</td> <td></td> </tr> <tr> <td>C</td> <td></td> <td>X</td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> </tr> <tr> <td>D</td> <td></td> <td></td> <td>X</td> <td></td> <td></td> <td></td> </tr> </tbody> </table>		1	2	3	4	5	6	A				X			B					X		C		X					D			X				0-3
		1	2	3	4	5	6																														
	A				X																																
	B					X																															
	C		X																																		
D			X																																		

დავალებების №	ბეობრაზია						Max ქულა																																			
36	<table border="1" data-bbox="399 233 1125 485"> <thead> <tr> <th></th> <th>1</th> <th>2</th> <th>3</th> <th>4</th> <th>5</th> <th>6</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>A</td> <td></td> <td></td> <td>X</td> <td></td> <td></td> <td></td> </tr> <tr> <td>B</td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> <td>X</td> <td></td> </tr> <tr> <td>C</td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> <td>X</td> </tr> <tr> <td>D</td> <td>X</td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> </tr> </tbody> </table>							1	2	3	4	5	6	A			X				B					X		C						X	D	X						0-3
	1	2	3	4	5	6																																				
A			X																																							
B					X																																					
C						X																																				
D	X																																									
37	<table border="1" data-bbox="399 533 1125 785"> <thead> <tr> <th></th> <th>1</th> <th>2</th> <th>3</th> <th>4</th> <th>5</th> <th>6</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>A</td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> <td>X</td> <td></td> </tr> <tr> <td>B</td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> <td>X</td> </tr> <tr> <td>C</td> <td>X</td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> </tr> <tr> <td>D</td> <td></td> <td></td> <td>X</td> <td></td> <td></td> <td></td> </tr> </tbody> </table>							1	2	3	4	5	6	A					X		B						X	C	X						D			X				0-3
	1	2	3	4	5	6																																				
A					X																																					
B						X																																				
C	X																																									
D			X																																							
38.1	<p>ტოპობრაზიულ რუკაზე ყველაზე მაღალმთიანი მასივი მდებარეობს <i>სამხრეთ-დასავლეთი/ დასავლეთი</i> ნაწილში.</p>						0-1																																			
38.2	<ul style="list-style-type: none"> • მდ. იოს არასწორი დინება აქვს – 1 ქულა; • რადგან რელიეფის სტრუქტურიდან გამომდინარე მდ. იო დევების ტბიდან მარცვალას ტბაში უნდა ჩაედინებოდეს და არა პირიქით, როგორც ეს რუკაზეა აღნიშნული. რადგან მარცვალას ტბა ზღ.დ. უფრო დაბლა მდებარეობს, ვიდრე დევების ტბა. მდინარე კი აღმართში ვერ იმოძრაებს – 1 ქულა. 						0-2																																			
38.3	<ul style="list-style-type: none"> • მოტყიარის ტბა რუკაზე დატანილი ტბებისგან იმით განსხვავდება, რომ იგი მლაშე ტბაა – 1 ქულა; • მდინარე ჯიმუს ნაპირებსა და გვერდებს მლაშობები და შესაბამისად, მისი წყლის მინერალიზაცია კალიან მაღალია – 1 ქულა; • რასაც ემატება ისიც, რომ მოტყიარის ტბა ბაზალტისაა, რაც ბანაკირობებს ტბის დამლაშებას. 						0-3																																			
38.4	ბ						0-1																																			

დავკლების №	ბეობრავი	Max ქულა
39.1	<p data-bbox="630 260 1094 289" style="text-align: center;">ნატოს გაფართოების დინამიკა</p>  <p data-bbox="428 932 1317 1556"> <ul style="list-style-type: none"> • თუ სვეტოვანი დიაგრამის შემრულების დროს არის – ქვეყნების რაოდენობა, გაწვევრიანების წლები, სახეზეა ექვსივე სვეტი (ანუ შემრულებულია მოცემული ნიმუშის ანალოგიურად) – 3 ქულა; • თუ სვეტოვანი დიაგრამას, ნიმუში მოცემულთან შედარებით, აკლია ერთი კომპონენტი – გაწვევრიანების წლები ან ქვეყნების რაოდენობა ან ერთი (ნებისმიერი) სვეტი – 2 ქულა; • თუ სვეტოვანი დიაგრამას, ნიმუში მოცემულთან შედარებით, აკლია ორი კომპონენტი – გაწვევრიანების წლები, ერთი სვეტი ან ქვეყნების რაოდენობა, ერთი სვეტი ან ორი სვეტი და ა.შ. – 1 ქულა; • თუ სვეტოვანი დიაგრამას, ნიმუში მოცემულთან შედარებით, აკლია სამი ან მეტი კომპონენტი; აბეჭულია არაზუსტი და გაუბეგარი დიაგრამა, ან ბრავიკი – 0 ქულა; • მეორე ნიმუშის მსგავსად აბეჭული დიაგრამის შემთხვევაში იწერება – 1 ქულა. </p> <p data-bbox="570 1583 1175 1612" style="text-align: center;">ევროპის ქვეყნების ნატოში შესვლის სვეტოვანი დიაგრამა</p> 	0-3

დავამლების №	ბეობრაზია	Max ქულა
39.2	<ul style="list-style-type: none"> • ნატოს ყველაზე დიდი გაფართოება მოხდა 2004 წელს – 1 ქულა; • ამის პირითადი მიზეზი იყო – სსრკ-ის დაშლა /ან სსრკ-ის, ჩხოსლოვაკიის და იუბოსლავიის დაშლა /ან ევროპაში სოციალისტური განაკის დაშლა და მასში შემავალი ქვეყნების (აღმოსავლეთ ევროპის) სწრაფმა შესაფრთხობისკენ (რუსეთისგან თავდაცვა) /ან რუსეთის ბეოპოლიტიკურ დასუსტება – 1 ქულა. 	0-2
39.3	<p>ამის მიზეზი იმაში მდებარეობს, რომ 1945-1990 წწ. ბერმნის შედეგაციული რესპუბლიკა ორ ნაწილად იყო გაყოფილი (გვრ და გღრ). გვრ ნატოში შევიდა 1955 წელს, ხოლო გღრ 1990 წელს ბერმანის გაერთიანების შედეგად.</p>	0-1
40.1	<p>კლიმატური დიაგრამა A შეესაბამება ეკვატორულ ჰავას;</p> <p>კლიმატური დიაგრამა B შეესაბამება ზომიერ ჰავას;</p> <p>კლიმატური დიაგრამა C შეესაბამება ხმელთაშუაზღვიურ ჰავას;</p> <p>კლიმატური დიაგრამა D შეესაბამება მუსონურ ჰავას;</p> <p><i>(1 სწორი პასუხი – 0 ქულა; 2 პასუხი – 1 ქულა; 3-4 სწორი პასუხი – 2 ქულა).</i></p>	0-2

დავალების №	გეობრაფია	Max ქულა
40.2	<ul style="list-style-type: none"> • ნაღვეების მაქსიმუმი მუსონურ პირობებში ზაფხულშია, ხოლო ხმელთაშუაზღვიური კლიმატის პირობებში – ზამთარში – 1 ქულა; • ტემპერატურული ამპლიტუდა მუსონურ პირობებში მაღალია, ხმელთაშუაზღვიურში – დაბალი – 1 ქულა; • ნაღვეების რაოდენობა მუსონურ პირობებში წლის მანძილზე უფრო მაღალია, ვიდრე ხმელთაშუაზღვიურში – 1 ქულა; • ზამთარი მუსონურ პირობებში ცივი და მშრალია, ხოლო ხმელთაშუაზღვიურში – თბილი და ნოტიო – 2 ქულა; • ზაფხული მუსონურ პირობებში თბილი და ნოტიოა, ხოლო ხმელთაშუაზღვიურში ცხელი და მშრალი – 2 ქულა; 	0-2
40.3	<ul style="list-style-type: none"> • ევროპა – პორტუგალია/ ესპანეთი/ საფრანგეთი/ მონაკო/ იტალია/ სლოვენია/ ხორვატია/ ბოსნია-ჰერცეგოვინა/ სერბეთი/ მონტენეგრო/ მაკედონია/ საბერძნეთი/ მალტა/ სან-მარინო/ ვატიკანი/ ალბანეთი/ უკრაინა; • აზია – თურქეთი/ ისრაელი/ კვიპროსი/ იორდანია/ ლიბანი/ სირია; • აფრიკა – ეგვიპტე/ ლიბია/ ალჟირი/ ტუნისი/ მაროკო/ სამხრეთ აფრიკა; <p><i>(ქულის მოსაკრებლად აუცილებელია თითო-თითო ევროპელი, აზიური და აფრიკული ქვეყანის დასახელება).</i></p>	0-1
40.4	ზომიერი ჰავის პირობებში/ ან ზომიერი, კონტინენტური ჰავის პირობებში.	0-1